



ივენტ მენეჯმენტი

პროგრამის შესახებ:

ბიზნესისა და IT აკადემია - BITA

გთავაზობთ სასერთიფიკატო პროგრამას ივენტ მენეჯმენტი .

პროგრამის მიზანია მონაწილეებს გადასცეს სხვადასხვა სახის ღონისძიებების ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები. მსმენელები გაეცნობიან კორპორატიული, საჯარო და კერძო ღონისძიებების ჩატარების ტექნიკას და მის შემოქმედებით, ტექნიკურ და ლოგისტიკურ ელემენტებს; პროგრამის ფარგლებში მსმენელებს საშუალება ექნებათ განიხილონ რეალური ქვისები.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს დასაქმებული ადამიანები, რომელთა ძირითადი ფუნქციები დაკავშირებულია ღონისძიებების დაგეგმარებასა და პრომოუშენთან.

თეორიულ ნაწილთან ერთად, პროგრამა დატვირთული არის პრაქტიკული დავალებებით.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები შეძლებენ:

- კულტურული ღონისძიების სტრატეგიული გეგმის განვითარებას;
- მთლიანი ფინანსური პროცესის მართვას და შეფასებას;
- ღონისძიების შესაფერისი დიზიანის და ადგილის შერჩევას;
- ღონისძიების მარკეტინგული კამპანიის ჩატარებას;
- წარმატებული კულტურული ღონისძიების დაგეგმვას და ჩატარებას.

პროგრამის აღწერილობა

1. ღონისძიებათა მენეჯმენტის საფუძვლები

კურსის მსმენელები გაეცნობიან სხვადასხვა სახის ღონისძიებების ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდებს, შეიძენენ საბაზისო ცოდნას და განივითარებენ საჭირო უნარებს ღონისძიებათა მართვის სფეროში. მსმენელები გაეცნობიან ღონისძიების ტექნიკურ დეტალებს, როგორებიცაა სცენარი, საკითხების გადანაწილება, მომწოდებელთა ჯაჭვის მენეჯმენტი, ბიუჯეტირება.

2. MICE ინდუსტრიის მიმოხილვა

მონაწილეები გაეცნობიან MICE (Meals, Incentives, Conferences and exhibitions) ინდუსტრიის შესახებ ინფორმაციას, მის მნიშვნელობას ტურიზმის მიმართულებით და საქართველოს სტრატეგიას განვითარების მიმართულებით.

3. ღონისძიებების სახეობები და მათი მენეჯმენტი

მონაწილეები გაეცნობიან სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს,

- კონფერენციები და ბიზნეს ფორუმები
- კორპორატიული ღონისძიებები
- ღონისძიებები ღია ცის ქვეშ (ფესტივალი, გამოფენა ა.შ)
- განსაკუთრებული ღონისძიებები (მოდის კვირეული, თეატრალური ფესტივალი)
- კერძო ღონისძიება (ქორწილი, იუბილე)
- წამახალისებელი ღონისძიება (incentive) და ჯგუფური მუშაობა
- ღონისძიების მაღაზია (event shop) და ტექნიკური მხარდაჭერა

4. ღონისძიების შეფუთვა, ინტერიერის დიზაინი და ადგილის დაგეგმვა (floor plan)

სწორი დიზაინი წარმატებული ღონისძიების მნიშვნელოვანი კომპონენტია. კურსის მონაწილეები ისწავლიან ღონისძიების მოწყობისა და „შეფუთვის“ სხვადასხვა მეთოდებს, როგორ გაითვალისწინონ ორგანიზაციის ბრენდინგის ელემენტები ღონისძიების ადგილის დაგეგმვის დროს.

5. ღონისძიების მარკეტინგი და ბრენდინგი

კურსის მსმენელები ისწავლიან, როგორ დაგეგმონ ღონისძიების წარმატებული მარკეტინგული კამპანია და „გაყიდონ“ ივენთი. ასევე, გაეცნობიან ბრენდის არსს, მის შემადგენელ კომპონენტებს და მნიშვნელობას ღონისძიების დაგეგმარების დროს.

6. პერსონალის მართვა, პრეზენტაციის უნარები

მონაწილეები გაეცნობიან ღონისძიების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის მართვის სპეციფიკას, დაწყებული ღონისძიების დაგეგმვის, მისი უშუალო განხორციელებისა და შემდგომი პერიოდის მენეჯმენტისგან. ასევე, გაეცნობიან არავერბალური და ვერბალური კომუნიკაციის არსს და მნიშვნელობას ადამიანთა ურთიერთობის პროცესში. პრაქტიკული

სავარჯიშოების ბაზაზე მსმენელები შეისწავლიან სხეულის ენის გამოვლინებებს და საშუალებას მისცემს განსაზღვრონ მოსაუბრეების დამოკიდებულება/განწყობა მათ მიმართ.

7. ლოგისტიკა (სასტუმროები, ტრანსპორტი, ავიაბილეთები, გიდები, ტურიზმი)

ლონისძიების მენეჯმენტის ფარგლებში მნიშვნელოვანია სტუმრებისათვის სასტუმროების, ტრანსპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტის ცოდნა და დაგეგმვა. მონაწილეები გაეცნობიან ტურისტულ კომპანიებთან მუშაობის სპეციფიკას და პრაქტიკას.

8. ქეთერინგი (სარესტორნო მომსახურება)

ნებისმიერი ლონისძიების ძალიან მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ნაწილია ქეთერინგის სერვისის უზრუნველყოფა. კურსის ნაწილში მსმენელები გაეცნობიან მომსახურების სტანდარტებს მაგიდის გაწყობიდან დაწყებული მომსახურე პერსონალის მართვით დამთავრებული.

9. მედიასთან ურთიერთობა და სოციალური ქსელების გამოყენება

მსმენელები გაიგებენ, თუ რას ნიშნავს ონლაინ-კომუნიკაცია; რა ინსტრუმენტები და სოციალური ქსელები არსებობს და როგორ შეიძლება მათი ეფექტურად გამოყენება ამა თუ იმ ლონისძიების დაგეგმარებისას.

ტრენერი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

პროფესორი

სუზანა დობორჯგინიძე